ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N50/ს

ქ. მცხეთა 11 ივლისი 2014 წელი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის N471 განკარგულების და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2014 წლის 30 ივნისის N01/2870 წერილის საფუძველზე, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის გივი გიუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ „ნელი ჩხაიძეს", სახით, შემდგომში „მომწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სოფ. ალდგომლიანთკარში ადმინისტრაციული შენობის რემონტი-176 ლარი.

1.2 სოფ. პატარა ქანდაში წყლის წისქვილის რეაბილიტაციის სამუშაოები-78 ლარი.

ზემოაღნიშნული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (CPV71200000)

2. მომსახურების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების ვადაა 2014 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 254 (ორასორმოცდათოთხმეტი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 შეასრულოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში;

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა შესრულებული სამუშაოს აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 მომსახურეობის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაურის მომსახურეობის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურეობის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი გოგი აბუაშვილი.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. რეკვიზიტები

შემსყიდველი

მცხეთის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის 73
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"
მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: **LBRTGE22**
ა/ა **GE93LB0120130269077000**
ს/კ 236094196
მუნიციპალიტეტის გამგებელი
გ. გიუტაშვილი

მიმწოდებელი

ინდ. მეწარმე ნელი ჩხაიძე
მის: ქ. მცხეთა, გმირის ქ. №2
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: **BAGAGE22**
ა/ა GE80BG0000000269163700
ს/კ 136081790
ინდ. მეწარმე

ნელი ჩხაიძე

595 90 41 91